ევროპის საბჭო

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი
მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი
(CPT)

CPT/Inf(97)10-part

უცხოელთა შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად დაკავებული უცხოელები

ამონაწერი მე-7 საერთო ანგარიშიდან,
გამოქვეყნდა 1997 წელს

ა. შესავალი შენიშვნები

24. თავისი ვიზიტების დროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ხშირად ხვდება უცხოელებს, რომეთაც აღკვეთილი აქვთ თავისუფლება უცხოელთა შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე (შემდგომში დაკავებული იმიგრანტები): პირებს, რომელთაც უარი ეთქვათ მოცემულ ქვეყანაში შესვლაზე; პირები, რომლებიც უკანონოდ შევიდნენ ქვეყანაში და შემდგომ გამოვლენილ იქნენ სახელმწიფო უწყებების მიერ; პირები, რომელთა უფლებამოსილებას მოცემულ ქვეყანაში ყოფნაზე ვადა გაუვიდა; პირები, რომლებიც ეძებენ პოლიტიკურ თავშესაფარს და რომელთა დაკავებასაც აუცილებლად მიიჩნევს ხელისუფლება; და ა. შ.

შემდგომ განყოფილებებში აღწერილია ის ზოგიერთი პრობლემატური საკითხი, რომლითაც დაკავებულია წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ამგვარ პირებთან მიმართებით. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი იმედოვნებს ამ გზით ნაციონალურ ორგანოებს ზინასწარ მისცეს იმის ნათელი წარმოდგენა თუ როგორი შეხედულებები აქვს მას დაკავებული იმიგრანტებისადმი მოპყრობის შესახებ და უფრო ფართო გაგებით კი, ხელი შეუწყოს ამ კატეგორიის თავისუფლებააღკვეთილ ადამიანებთან დაკავშირებული საკითხების განხილვას. კომიტეტი მიესალმება თავისი საერთო ანგარიშის ამ ნაწილზე გაკეთებულ კომენტრარებს.

ბ. დაკავებულ პირთათვის განკუთვნილი დაწესებულებები

25. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დელეგაციები თავისი ვიზიტების დროს შეხვდნენ დაკავებულ იმიგრანტებს, რომლებიც იმყოფებოდნენ დაკავების სხვადასხვა სახის პირობებში, ქვეყანაში შესასვლელ პუნქტებთან არსებული სპეციალური ნაგებობებიდან დაწყებული პოლიციის განყოფილებებში არსებული საკნებით, ციხეებითა და დაკავებულ პირთათვის განკუთვნილი სპეციალური ცენტრებით დამთავრებული. რაც შეეხება, უფრო კონკრეტულად პირებს, რომელთაც უარი ეთქვათ ქვეყანაში შესვლაზე აეროპორტებში არსებული სატრანზიტო და `საერთაშორისო~

ზონებში, ასეთ პირთა სამართლებრივმა მდგომარეობამ გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი არაერთხელ შეხვედრია მოსაზრებას, რომ ასეთ პირებს არა აქვთ `აღკვეთილი თავისუფლება~, რადგან მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს დატოვონ ზონა თავისი სურვილისამებრ, ნებისმიერი საერთაშორისო რეისით.

თავის მხრივ წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ სატრანზიტო ან `საერთაშორისო~ ზონაში ყოფნა, არსებული გარემოებებისდა მიხედვით, შეიძლება ნიშნავდეს თავისუფლების აღკვეთას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 5 (1)(F) მუხლის შინაარსიდან გამომდინარე და რომ შესაბამისად, ეს ზონები ხვდება კომიტეტის კომპეტენციის ქვეშ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 1996 წლის 25 ივნისს მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე ამუური საფრანგეთის წინააღმდეგ, შეიძლება ჩაითვალოს ამ მიდგომის დამტკიცებად. აღნიშნულ საქმეზე, რომელიც ეხებოდა ოთხ პიროვნებას, რომლებიც ემებდნენ პოლიტიკურ თავშესაფარს და 20 დღით დაკავებულ იყვნენ პარიზის აეროპორტ ორლის სატრანზიტო ზონაში, სასამართლომ განაცხადა, რომ `ის ფაქტი, რომ პირებს, რომლებიც ემებენ პოლიტიკურ თავშესაფარს, შეუძლიათ ნებაყოფლობით დატოვოინ ქვეყანა, რომელშიც ისინი ემებენ პოლიტიკურ თავშესაფარს, არ შეიძლება გამორიცხავდეს თავისუფლების შეზღუდვას ("ატტეინტე") ....~ და გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ `მომჩივანთა სატრანზიტო ზონაში გაჩერება ... გადატანილი შეზღუდვების გათვალისწინებით, პრაქტიკაში უტოლდება თავისუფლების აღკვეთას~.

26. შესასვლელ პუნქტებში დაკავებულთა შეჩერების ადგილები ხშირად მიჩნეულ იქნენ არასათანადოდ, განსაკუთრებით ხანგრძლივი ყოფნისათვის. უფრო კონკრეტულად, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დელეგაციები არაერთხელ შეხვდნენ შემთხვევებს, როცა ადამიანებს დღეების განმავლობაში ამყოფებდნენ აეროპორტის არაკეთილმოწყობილ მოსაცდელ დარბაზებში.

სრულიად აშკარაა, რომ ასეთი პირებისათვის შექმნილი უნდა იყოს შესაბამისი პირობები ძილისათვის, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკუთარი ბარგისა და სანიტარული და საშხაპე შესაბამისი მოწყობილობების ხელმისაწვდომობა, ასევე ნება უნდა დაერთოთ სუფთა ჰაერზე ყოველდღიური გასეირნებებისათვის. გარდა ამისა, მათთვის გარანტირებული უნდა იყოს საკვებითა და აუცილებლობის შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა.

27. ზოგიერთ ქვეყნებში წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დელეგაციები ხვდებოდნენ ხოლმე შემთხვევებს, როცა დაკავებული უცხოელები ხანგრძლივი დროით (დღეების განმავლობაში და ზოგიერთ შემთხვევაში თვეების განმავლობაში) დაკავებული ჰყავდათ პოლიციის განყოფილებებში, და დაკავების პერიოდში მათთვის შექმნილი მატერიალური პირობების შესაბამისად, ისნი მოკლებულ იყვნენ ნებისმიერ ფორმით საქმიანობასა და ხანდახან იძულებულნი იყვნენ ყოფილიყვნენ სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილ პირებთან ერთად ერთსა და იმავე საკანში. ასეთი ვითარება ყოვლად გაუმართლებელია.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტი აღიარებს, რომ სავსებით ბუნებრივია, რომ დაკავებულ იმიგრანტებს გარკვეული დროის გატარება უხდებათ პოლიციის განყოფილებების ჩვეულებრივი დაკავების პირობებში. თუმცა, იქ არსებული პირობები ხშირად _ თუ ყოველთვის არა _ არ არის სათანადო ხანგრძლივი დროით დაკავებისათვის. შესაბამისად, დაკავებული იმიგრანტების მიერ ამგვარ დაწესებულებებში გატარებული დროის პერიოდი დაყვანილ უნდა იქნას აბსოლუტურ მინიმუმამდე.

28. ხანდახან, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დელეგაციები ხვდებიან შემთხვევებს, როცა დაკავებულ იმიგრანტებს ამყოფებენ ციხეებში. მაშინაც კი, როცა მოცემულ დაწესებულებებში არსებობს ამ პირთა დაკავებისათვის სათანადო პირობები, რასაც ყოველთვის არა აქვს ადგილი, წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ასეთ მიდგომას თავისი არსით არასწორად მიიჩნევს. ციხე, თავისი მნიშვნელობის თანახმად, არ არის შესაფერისი ადგილი, რომელშიც შეიძლება დაკავებულ იყოს პირი, რომელიც არ არის არც მსჯავრდადებული და არც სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი.

უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც არსებობს დაკავებული იმიგრანტის მიერ ძალადობის გამოყენების ალბათობა, შესაძლოა გამართლებული იყოს ასეთი იმიგრანტის დაკავება ციხის ტიპის დაწესებულებაში. ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ დაკავებული იმიგრანტები, რომლებიც საჭიროებენ სტაციონარულ სამედიცინო მკურნალობას, შეიძლება დროებით მოთავსებულ იქნან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არსებული ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში, იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია სხვა სათანადო საავადმყოფოს გამოძებნა. თუმცა, ასეთ დაკავებული იმიგრანტები მოთავსებულ უნდა იქნენ სხვა თავისუფლებააღკვეთილ პირთაგან განცალკევებით, იმისდა მიუხედავად იმისა ეს პირები უკვე გასამართლებულნი არიან თუ იმყოფებიან გამოძიების ქვეშ.

29. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის შეხედულებით, იმ შემთხვევებში, როცა უცხოელთა შესახებ კანონმდებლობის თანახმად, აუცილებლად ითვლება პირთათვის თავისუფლების აღკვეთა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ასეთი პირები მოთავსებულ უნდა იქნან სპეციალურად ამ მიზნებისათვის გათვალისწინებულ ცენტრებში, რომელიც სთავაზობს მათ მათის სამართლებრივი მდგომარეობის შესაბამის პირობებსა და რეჟიმს, ასევე სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებით დაკომპლექტებულ პერსონალს. კომიტეტი მოხარულია აღნიშნოს, რომ იზრდება კონვენციის მონაწილე იმ სახელმწიფოების რიცხვი, რომელიც სწორედ ამგვარ მიდგომას ანიჭებს უპირატესობას.

აშკარაა, რომ ასეთი ცენტრბი უნდა უზრუნველყოფდეს ავეჯით სათანადოდ გაწყობილ, შხაპითა და საპირფარეშოთი, სუფთა და კარგ მდგომარეობაში მყოფ განთავსების საშუალებებს, რომელიც უნდა იყოს სათანადო ფართის, რათა თავისუფლად იტევდეს მოცემულ პირთა რაოდენობას. გარდა ამისა, სატანადო ზომები უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ შენობის გარეგნული სახე და განლაგება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, არ ქმნიდეს ტავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარემოს შტაბეწდილებას. რაც შეეხება რეჟიმით გათვალისწინებულ საქმიანობას, იგი უნდა ითვალისწინებდეს სუფტა ჰაერზე ყოფნას, დასვენების ოთახის, რადიოსა და ტელევიზიის, ჟურნალებისა და გაზეთების ხელმისაწვდომობას, ისევე როგორც

რეკრეაციის სხვა სასუალებებს (მაგალითად, სამაგიდო თამაშები, მაგიდის ჩოგბურთი). რაც უფრო ხანგრძლივია დრო, რომლის განმავლობასიც პირები არიან დაკავებულნი, მით უფრო განვითარებული უნდა იყოს საქმიანობის ის სახეები, რომელთაც მათ შესთავაზებენ.

იმ ცენტრის თანამშრომლებს, რომელშიც იმყოფებიან დაკავებული იმიგრანტები, ეკისრებათ განსაკუთრებული ამოცანა. ჯერ ერთი აუცილებლად იარსებებს სირთულეები კომუნიკაციის თვალსაზრისით, რაც გამოწვეულია ენობრივი ბარიერით. მეორე, ბევრი, დაკავებულ პირებს შორის, რთულად აღიქვამს თავისუფლების აღკვეთის ფაქტს მაშინ, როცა არ არსებობს ეჭვი, რომ მათ მიერ ჩადენილია სისხლის სამართლებრივი სამართალდარღვევა. მესამე, არსებობს დაძაბულობის წარმოშობის რისკი იმ დაკავებულ პირთა შორის, რომლებიც სხვადასხვა ეროვნების არიან ან მიეკუთვნებიან სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს. აქედან გამომდინარე, კომიტეტი დიდად აფასებს, როცა ასეთ ცენტრებში ზედამხედველობის განმახორციელებელი პერსონალი საგულდაგულოდ შეირჩევა და გადის სათანადო მომზადებას. პიროვნებებს შორის ურთიერთობებში კარგად განვითარებულ თვისებებთან ერთად, მოცემული პერსონალი უნდა გაეცნოს დაკავებულ პირთა კულტურის თავისებურებებს; უარეს შემთხვევაში, ზოგიერთ თანამშრომელს უნდა ჰქონდეს სათანადო მომზადება ენობრივი თვალსაზრისით მაინც. გარდა ამისა, პერსონალს უნდა შეეძლოს ამოიცნოს სტრესული რეაქციის შესაძლო სიმპტომები (ტრავმის შემდგომი, ან სოციალური ან კულტურული ხასიათის ცვლილებების შედეგად გამოწვეული), რომელსაც გამოავლენენ დაკავებული პირები და სათანადო ზომების მიღება.

გ. გარანტიები დაკავების დროს

30. დაკავებულ იმიგრანტებს, ისევე როგორც სხვა პირებს, რომელთაც აღკვეთილი აქვთ თავისუფ-ლება, უნდა მიენიჭოთ უფლება, მათი დაკავების პირველსავე ეტაპზე, თავისი სურვილისამებრ შერჩეულ პირს შეატყობინონ თავისი მდგომარეობის შესახებ და უზრუნველყოფილი იყვნენ ადვოკატითა და ექიმით. გარდა ამისა, ისინი დაუყოვნებლივ, ზუსტად და მათთვის გასაგებ ენაზე უნდა იყვნენ ინფორ-მირებული თავისი უფლებების შესახებ და იმ პროცე-დურების თაობაზე, რომელიც მათ მიმართ გამოიყენება.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა გამოიკვლია, რომ ზოგიერთ ქვეყანაშე ეს მოთხოვნები სრულდება მაგრამ ზიგიერში _ არა. კერძოდ კი, ვიზიტების დროს კომიტეტის დელეგაციები ხშირად ხვდებოდნენ ისეთ დაკავებულ იმიგრანტებს, რომლებიც აშკარად არ იყვნენ ინფორმირებული მათი სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ მათთვის გასაგებ ენაზე. იმისათვის, რომ გადავლახოთ ასეთი წინააღმდეგობები, დაკავებული იმიგრანტები სისტემატიურად უნდა უზრუნველვყოთ დოკუმენტით, რომელშიც მოცემული იქნება პროცედურები, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას მათ მიმართ და დაკავებულ იმიგრანტთა უფლებები. ეს დოკუმენტი შესრულებული უნდა იყოს იმ ენებზე, რომელზეც ჩვეულებრივ საუბრობენ მოცემული პირები და თუ არსებობს ამის აუცილებლობა, უნდა არსებობდეს რესურსები თარჯიმნის მომსახურეობის გამოყენებისათვის.

31. ადვოკათით უზრუნველყოფის უფლება უნდა ვრცელდებოდეს დაკავების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიცავდეს, როგორც ადვოკატთან კერძო საუბრის უფლებას, ასევე ხელისუფლების სათანადო წარმომადგენლებთან საუბრის დროს ადვოკატის დასწრების უფლებას.

ყველა დაწესებულება სადაც იმყოფებიან დაკავებული იმიგრანტები, უნდა უზრუნველყოფდეს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ პირთა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რომლებიც ეძებენ პოლიტიკურ თავშესაფარს, შესაძლოა ზოგიერთი მათგანი განიცდიდა წამებას ან სხვაგვარად სასტიკ მოპყრობას იმ ქვეყნებში საიდანაც ისინი წამოვიდნენ. ექიმის მომსახურების ხელმისაწვდომობის უფლება მოიცავს უფლებას, თუ ამას ასე ისურვებს დაკავებული პირი, შემოწმებულ იქნეს იმ ექიმის მიერ, რომელსაც იგი აირჩევს; თუმცა, ასეთ დროს უნდა მოველოდეთ, რომ დაკავებული თვითონ დაფარავს ამგვარი დამატებითი სამედიცინო შემოწმების ხარჯებს.

უფრო ზოგადად თუ ვისაუბრებთ, დაკავებულ იმიგრანტებს უნდა ჰქონდეთ უფლება შეინარჩუნონ კავშირი გარე სამყაროსთან თავისუფლების აღკვეთის პერიოდში და უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, ჰქონდეთ ტელეფონით სარგებლობისა და ნათესავებთან და სათანადო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების საშუალება.

დ. სასტიკი მოპყრობის რისკი გაძევების შემდეგ

32. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას არ გააგზავნოს პირი ქვეყანაში, როცა არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ იქ არსებობს რეალური რისკი, რომ პირი გახდება წამების ან სასტიკი მოპყრობის საგანი. საკითხი იმის შესახებ ასრულებენ თუ არა კონვენციის მონაწილე მხარეები ამ ვალდებულებებს, ეს აშკარად ის კითხვაა, რომელიც წარმოადგენს კომიტეტის მნიშვნელოვანი დაინტერესების საფუძველს. რა არის ის როლი, რომლის შესრულებისკენაც უნდა ისწრაფვოდეს კომიტეტი ამ პრობლემასთან მიმართებით?

33. ნებისმიერი შეტყობინება, რომელიც მიმართულია წამების საწინააღმდეგო კომიტეტისადმი ქ. სტრასბურგში იმ პირების მიერ, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ ასახლებენ (აძევებენ) იმ ქვეყანაში, რომელშიც არსებობს მათი წამების ან სასტიკი მოპყრობის რეალური რისკი, დაუყოვნებლივ ექცევა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის ყურადღების ქვეშ. კომისიას თავის მდგომარეობის გამო, მეტი შესაძლებლობა აქვს განიხილოს ასეთი მტკიცებები და თუ არსებობს ამისი საჭიროება, მიიღოს აღმკვეთი ხასიათის ზომები.

თუ დაკავებული იმიგრანტი (ან ნებისმიერ სხვა პირი, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება), ვიზიტის განმავლობაში გასაუბრების დროს, ამტკიცებს, რომ მას უპირებენ გამგზავრებას იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს რისკი იმისა, რომ იგი გახდება წამების ან არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის ობიექტი, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დელეგაცია ვიზიტის დროს თვალყურს მიადევნებს, რომ ამ მტკიცებებმა მიაღწიოს სათანადო სახელმწიფო უწყებებამდე და სათანადოდ

იქნას განხილული. არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, დელეგაციამ სეიძლება მოითხოვოს, რომ მას მუდმივად აწოდებდნენ ინფორმაციას დაკავებულის მდგომარეობის შესახებ, და/ან რომ დაკავებულს აცნობონ იმის შესახებ, რომ მას შეუძლია აღნიშნული საკითხი დააყენოს ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიის წინაში (და ამ უკანასკნელ შემთხვევაში, გააკონტროლონ, რომ დაკავებულს ჰქონდეს შესაძლებლობა წარადგინოს საჩივარი კომისიის წინაშე).

34. თუმცა, იმდენად, რამდენადაც წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ფუნქცია ძირითადად პროფილაქტიკურია, იგი მიდრეკილია თავისი ყურადღება გაამახვილოს იმ საკითხზე, მთლიანობაში გადაწყვეტილების მიღების პროცესი იძლევა თუ არა იმის სათანადო გარანტიას, რომ პირები არ იქნებიან გადაყვანილი იმ ქვეყნებში, სადაც ისინი შეიძლება გახდნენ წამების ან სასტიკი მოპყრობის საგანი. ამასთან დაკავშირებით, წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ისურვებდა შეესწავლა საკითხი იმის შესახებ სთავაზობს თუ არა აღნიშნული პროცედურა მოცემულ პირებს საჩივრის წარდგენის რეალურ შესაძლებლობას, გაიარეს თუ არა სათანადო მომზადება იმ პირებმა, რომელთაც უნდა განიხილონ ეს საჩივრები და ხელი მიუწვდებათ თუ არა მათ, სხვა ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, ობიექტურ და დამოუკიდებელ ინფორმაციაზე. გარდა ამისა, განსახილველი ინტერესების მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, წამების საწინააღმდეგი კომიტეტი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს ტეროტირიიდან პიროვნების გაძევების შესახებ გადაწყვეტილება, მის შესრულებამდე უნდა ექვემდებარებოდეს სხვა, დამოუკიდებელ ორგანოში გასაჩივრებას.

ე. იძულების მექანიზმები გაძევების პროცედურების განხორციელების დროს

35. დასასრულ, წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა უნდა აღნიშნოს, რომ მან მიიღო საგანგაშო ანგარიშები მრავალი ქვეყნიდან იმ იძულების მეთოდების შესახებ, რომელიც გამოიყენება დაკავებული იმიგრანტების ქვეყნიდან გასაძევებლად. უფრო კონკრეტულად, ეს ანაგარიშები შეიცავდა მტკიცებებს ადამიანთა ცემის, დაბმის და პირის აკვრისა და მოცემული პირების სურვილის გარეშე ტრანკვილიზატორების გამოყენების შესახებ.

36. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი აღიარებს, რომ იმ პირის გაძევება ქვეყნიდან, რომელმაც გადაწყვეიტა ამ ქვეყანაში დარჩენა ხშირად შეიძლება რთული ამოცანა იყოს. სამართალდამცავი ხელისუფლების წარმომადგენლებს, კანონის დასაცავად, გაძევეის განსახორციელებლად, ხანდახან უხდებათ ძალის გამოყენება. თუმცა, გამოყენებული ძალა არ უნდა იყოს გონივრულად აუცილებელზე მეტი. კერძოდ, არ შეიძლება მოვახდინოთ ფიზიკური ზემოქმედება პირზე, რომელიც გახდა გაძევების ობიექტი, იმისათვის, რომ ვაიძულოთ ისინი გამოიყენონ ტრანსპორტის ესა თუ ის სახეობა ან დავსაჯოთ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო. გარდა ამისა წამებისა საწინააღმდეგო კომიტეტმა უნდა აღნიშნოს, რომ ადამიანისათვის პირის აკვრა ძალიან საშიში ზომაა.

წამებისა საწინააღმდეგო კომიტეტს სურს ასევე აღნიშნოს, რომ იმ პირთა მიერ, რომლებიც გახდნენ გაძევების ობიექტი, ნებისმიერი საშუალებით წამლის მიღების საკითხზე ბრძანება უნდა გაიცეს მხოლოდ სამადიცინო გადაწყვეტილების საფუძველზე და სამედიცინო ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად.